# შოთა ჩოჩიშვილის ოქროს მედალი




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 174 (4684)

1972 წ. 3 სექტემბერი, კვირა. ფასი 4 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

# დ ღ ე მ ე შ ვ ი დ ე

მიუნჰენი, 1 სექტემბერი. ჰოჰარი-უკის ოლიმპიურ სასროლეთზე გამკაცრებული სამარისებური სიჩუმე (ასპარეზობისას მსროლელს არაფერმა უნდა შეუშალოს ხელი) ერთბაშად დაარღვია სტიქიურად ამტყდარმა ტაშმა. მწვანე კოსტიუმებში გამოწყობილი მსაჯებიც კი შემწყნარებლურად იღიმებოდნენ. მაყურებლები და სპორტსმენები „გაქცეულ ტახზე" სროლაში ოლიმპიური ჩემპიონის წოდებას ულოცავდნენ ოდესელ იაკობ ჟელეზნიაკს, რომელმაც ოლიმპიურ პროგრამაში პირველად შეტანილი ამ ვარჯიშის ოქროს ლაურეატების სია გახსნა, თანაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 569 ქულა.

ყოველივე ეს შუადღეს მოხდა. ბედნიერმა, მაგრამ დაღლილმა სპორტსმენმა ღიმილით გადაუხადა მადლობა მაყურებლებს და ისე შეუდგა მსროლელის უცემაკო ამუნიციის შეგროვებას, თითქოს დიდი არაფერი მომხდარიყოს...

„გაქცეულ ტახზე" სროლა განსაკუთრებულ ნიუანსებს მოითხოვს ტექნიკაში. ამ სახეობაში ყველაზე ლიბჯი სპორტსმენები აღწევენ წარმატებას. როგორც ყველა ოდესელი, ჟელეზნიაკი ძალიან ცოცხალი, ენაკვიმატი და მხიარული კაცია, მაგრამ სასროლეთზე იგი მომთმენ „მონადირედ" გარდაიქმნება ხოლმე. „ტახი" მსროლელის წინ სწრაფად ჩაიქროლებს ჯერ ხუთ წამში, მერე კი ორჯერ უფრო ჩქარა. ეს ვარჯიში სულ ამ რამდენიმე წლის წინათ გაჩნდა. ჟელეზნიაკი „ტახის" ყველაზე დიდი „მტერი" გამოდგა — მაგალითად, წლევულს რომელ შეჯიბრებაშიც კი გამოვიდა, პირველობა არავისთვის დაუთმია

ოდესელმა მსროლელმა შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ აქაც დამაჯერებლად იგდო ხელთ ლიდერობა — 289 ქულა დააგროვა. ტირის ჭერქვეშ დადგმული ტელევიზორის ეკრანს, რომელზეც ჟელეზნიაკის სამიზნე გაიელვებდა ხოლმე, თვალს არ აშორებდნენ სპორტის მოყვარულები და ჟურნალისტები. გასროლათა ბოლო სერია უკვე მათ აღტაცებულ ჩურჩულში მიმდინარეობდა. როცა საბჭოთა სპორტსმენის დასკვნითი გასროლის შემდეგ ტუქტაბლოზე მსაჯის ხელმა ციფრი „10" დაწერა, ნათელი გახდა, რომ საბჭოთა გუნდმა მეთხუთმეტე ოლიმპიური ოქროს მედალი მიიღო.

კიდევ ერთი ჯილდო, ბრინჯაოსი, ღირსებისა, მოპოვებულია პისტოლეტით სწრაფსროლაში. იგი მოიგო ვ. ტორშინმა — 593 ქულა. საბჭოთა სპორტსმენი მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩა ოლიმპიურ ჩემპიონს, პოლონელ ი. ზაპენდსკის. პირველი დღის შემდეგ დაწინაურებულ ი. ბაკალოვს ერთ-ერთი გასროლა წამის მეათედით დაუგვიანდა და... 24-ე ადგილი დაიკავა.

ოლიმპიადის ყველაზე ხანგრძლივ შეჯიბრებაში — მოკრივეთა ტურნირში (დაიწყო 27 აგვისტოს, დამთავრდება 9 სექტემბერს) წონითი კატეგორიების უმეტესობაში დამთავრდა მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები. საბჭოთა გუნდმა ჯერჯერობით ერთადერთი დანაკლისი განიცადა: ნორვეგიელ ს. პაულსონთან ორთაბრძოლის დროს გ. დობროხოტოვს წარბი გაუსკდა და ექიმმა იგი შეჯიბრებიდან მოხსნა. სამაგიეროდ, მძიმეწონოსან ი. ნესტეროვს ჯერ არ მოუწია რინგზე გამოსვლამ. პირველი შეხვედრა მას ამერიკელ დ. ბობიკთან აქვს, რომელსაც ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებენ.

ტურნირში სულ 80 ქვეყნის 358 მოკრივე მონაწილეობს. ამის მსგავსი არც ერთ ოლიმპიადაში არ ყოფილა.

მას შემდეგ, რაც წუხელ ურთიერთობა გაარკვიეს მძიმეწონოსანმა ძიუდოისტებმა, ტატამზე ქვემძიმე წონის მოჭიდავეები გამოვიდნენ. ორი წრე წარმატებით განვლო ქართველმა სპორტსმენმა შოთა ჩოჩიშვილმა. მან ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენლის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, იაპონელი ფ. სასახარას დამარცხებაც კი შეძლო.

ჯერჯერობით საბჭოთა ძიუდოისტების აქტივში ერთი ბრინჯაოს მედალია, რომელიც ჩოჩიშვილის თანამემამულე გ. ონაშვილმა მოიგო. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ათლეტი მსაჯებმა აშკარად დაჩაგრეს: ნახევარფინალში მისი უკვე გამოცხადებული გამარჯვება საეჭვოდ მიიჩნიეს, თავიანთი გადაწყვეტილება გადათქვეს და ონაშვილი ხელმეორედ აჭიდავეს. ამჯერად იგი დამარცხდა.

საბჭოთა ბრასისტმა ქალებმა ლ. პორუბაიკომ და გ. სტეპანოვამ მოიგეს 100 მეტრზე წინასწარი გაცურვები (შესაბამისად — 1.17,14 და 1.17,18). ევროპის ჩემპიონი თ. ლეკვეიშვილი მეორე იყო 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 1.07,84. ფინიშთან მესამენი იყვნენ თავისუფალი სტილით ცურვის საბჭოთა ოსტატები ა. სამსონოვი (400 მ—4.11,46) და ტ. ზოლოტნიცკაია (200 მ — 2.13,12).

ორი წინასწარი მატჩი ჩაატარა საბჭოთა რაპირისტ ვაჟთა გუნდმა. ამერიკელებთან გამარჯვების (12:4) შემდეგ იგი მოულოდნელად დამარცხდა იაპონელთა კოლექტივთან შეხვედრაში — 7:9.

თავიანთ ჯგუფში უაღრესად პრინციპული ბრძოლა მოუგეს იაპონელმა ფრენბურთელმა ვაჟებმა გდრ-ის გუნდს — 3:0 (15:4, 15:2, 15:6).

„ვინ შეაჩერებს ბორზოვს?" — ასეთი შეკითხვა გამოჩნდა მიუნჰენის ერთ-ერთ გაზეთში სპრინტერთა ფინალური გარბენის წინადღეს. ახლა თამამად შეიძლება ვუპასუხოთ: „არავინ". ამ შეკითხვაზე თვით ვალერი ბორზოვმა ძალიან მოკლე და დამაჯერებელი პასუხი გასცა თავისი საუცხოო რბენით ფინალში — 10,14 წამი.

ბორზოვი ტყვიასავით მოსწყდა სტარტს და ძალიან მძლავრად, მაგრამ მსუბუქად გარბოდა. ამაოდ ეცადა ამერიკელი რობერტ ტეილორი ლიდერს დასწეოდა.

რომის ოლიმპიური თამაშების შემდეგ 100 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი ამერიკელ მძლეოსანს პირველად არ ხვდა და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე საერთოდ პირველად ავიდა საბჭოთა სპრინტერი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 100 მეტრზე რბენის მეოთხედფინალურ სტარტებზე არ გამოცხადდა ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდის ორი თანაავტორი — ამერიკელები რ. რობინსონი და ე. ჰარტი. პირველ მათგანს ბარძაყი ჰქონდა დაშავებული, ჰარტს კი გამოსვლების განრიგი ერია და, როცა თავისი შეცდომა აღმოაჩინა, უკვე გვიან იყო — სტარტზე დააგვიანა. ცხადია, ამ სპორტსმენებმა შემდგომი ბრძოლის უფლება დაკარგეს.

რასაკვირველია, ზემოაღნიშნული ფაქტი სრულიადაც არ აფერმკრთალებს ბორზოვის მიერ მოპოვებული ოქროს ბრწყინვალებას.

80 ათასი მაყურებელი, რომელიც დღეს სწორედ ამ ფინალურ გარბენს ელოდა, მოსკოველი ა. კორნელიუკის ასპარეზობითაც დაინტერესდა. ამ ახალგაზრდა მძლეოსნის ხასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ შეუშინდა ტიტულოვან მეტოქეებს და საპატიო IV ადგილი დაიკავა — 10,36. ეს საბჭოთა მძლეოსნობის ორმაგი გამარჯვებაა, ვინაიდან ოლიმპიურ ფინალში საბჭოთა სპრინტერთაგან მხოლოდ ამ ოცი წლის წინათ, ჰელსინკში იასპარეზა ვ. სუხარევმა (V ადგილი).

შუბის მტყორცნელ ქალთა შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოიგო იენის (გდრ) სამედიცინო ტექნიკუმის მასწავლებელმა, 25 წლის რუტ ფუქსმა მართალია, მსოფლიო რეკორდსმენი თავის უმაღლეს მიღწევას ვერ შესწვდა, მაგრამ მისი შედეგი — 63,88 მ ოლიმპიური რეკორდია. ამ შეჯიბრებაში მხოლოდ ერთი საბჭოთა სპორტსმენი, ბარნაულელი მასწავლებელი ს. კოროლიოვა მონაწილეობდა (VIII ადგილი — 56,36 მ). მეორემ — ნ. მარაკინამ საკვალიფიკაციო ნორმატივი ვერ შეასრულა.

ვილნიუსელმა ნ. საბაიტემ ლამაზად მოიგო 800 მეტრზე ნახევარფინალური გარბენი, თანაც სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა — 2.00,9. ამრიგად, რომის ოლიმპიადის შემდეგ საბაიტე პირველი საბჭოთა მძლეოსანი ქალია, ვინც 800 მეტრზე რბენის ფინალში მიიღებს მონაწილეობას. ვაჟთა შორის ფინალში გავიდა კიეველი ე. არჟანოვი, რომელმაც თავის გარბენში II ადგილი დაიკავა — 1.46,3. ე. ვოლკოვი და ი. ივანოვი შემდგომ ბრძოლას გამოეთიშნენ.

3000 მეტრზე წინაღობებით რბენის ფინალში ვერ ვიხილავთ მოსკოველ ს. სკრიპკას, რომელიც არც თუ ისე სწრაფ გარბენში ტაქტიკური ბრძოლის მსხვერპლი გახდა. სამაგიეროდ, ფინალში გავიდა რ. ბიტე. დღეს ამ გარბენებში ორჯერ გაუმჯობესდა ოლიმპიური რეკორდი, რომელიც ახლა ასეთ ციფრებში გამოიხატება: 8.23,8 და კენიელ ა. ბივოტს ეკუთვნის.

ლ. ჟარკოვა 100 მეტრზე რბენის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო ვ. გავრილენკო და ი. ზორინი — 400 მეტრზე თარჯრბენის ნახევარფინალში.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა I ადგილი დაიკავა ოლიმპიური ტურნირის მეორე ჯგუფში — ბირმაში 4:1 (3:0) დაამარცხა მექსიკელთა კოლექტივი. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები თავდაუზოგავად იბრძოლებდნენ გამარჯვებისთვის. ასეც მოხდა. თამაშს ტონი ამჯერად თავდამსხმელებმა მისცეს. დიდი როლი შეასრულა ახალმა ტაქტიკურმა გეგმამაც. თუ უწინ იერიშები უმთავრესად ცენტრიდან ხორციელდებოდა, ახლა სემიონოვი უმეტესად მარჯვენა ფლანგზე მოქმედებდა — ცენტრალურ ზონას სწრაფი ბლოხინისთვის ათავისუფლებდა. სწორედ ამ უკანასკნელმა გაიტანა პირველი სამი ბურთი, მეოთხე კი ბლოხინის მიწოდებით — სემიონოვმა.

საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რუდაკოვი (პოლიგუი), ისტომინი, ხურცილავა, კაპლიჩნი (ოლშანსკი), ლოვჩევი, ზანაზანიანი, კუკსოვი, ანდრიასიანი, სემიონოვი, იაკუბიკი, ბლოხინი.

ნახევარფინალურ ჯგუფში საბჭოთა ფეხბურთელებს დანიის, მაროკოსა და პოლონეთის გუნდებთან ექნებათ საქმე. მეორე ნახევარფინალური ჯგუფი უნგრეთის, მექსიკის, გფრ-ისა და გდრ-ის ფეხბურთელებმა შეადგინეს.

100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვის ფინალში გავიდა სტეპანოვა, რომელმაც დღის მეორე შედეგით (1.15,89) მოიგო ნახევარფინალური გაცურვა. მეორე სერიაში ამერიკელმა კ. კარმა ოლიმპიური რეკორდი დაამყარა — 1.15,00. 100 მეტრზე გულაღმა ცურვის ნახევარფინალში ლეკვეიშვილმა მხოლოდ V ადგილი (1.07,61) დაიკავა და შემდგომ ბრძოლას გამოეთიშა.

მრგვალ სტენდზე ორი დღის ასპარეზობის შემდეგ მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ე. პეტროვს მეორე შედეგი აქვს — ქულით ჩამორჩება გდრ-ის წარმომადგენელ მ. ბუხნაიმს (147).

განსაკუთრებული სიმწვავით აღინიშნა პირველი შესარჩევი ჯგუფის მონაწილეების — ჩეხოსლოვაკიისა და ბრაზილიის კალათბურთელთა გუნდების შეხვედრა ბრაზილიელებმა დიდი გაჭირვებით გაიმარჯვეს — 83:82 (40:42).

(დასასრული მე-2 გვ.).





აი, ასე ჭიდაობს შოთა ჩოჩიშვილი. იგი ელვისებური ილეთით ქვევიდან კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს მეტოქეს. ზევით თქვენ ხედავთ ოლიმპიური ჩემპიონის პორტრეტს.



სურათზე: 100 მეტრზე ფინალური გარბენის ფინიშთან. სულ ცოტაც და ვ. ბორზოვი (მარჯვნივ) ოლიმპიური ჩემპიონი გახდება, რ. ტეილორი (აშშ) კი ვერცხლის დასჯერდება.

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

# დღე მეშვიდე

დასასრული

1 სექტემბერს ღამით საზღვარგარეთული სააგენტოების კორესპონდენტები მოდიოდნენ პრეს-ცენტრში მოთავსებულ საკდესის ოთახში და თავიანთ საბჭოთა კოლეგებს გაოცებული ეკითხებოდნენ: „ვინ არის ეს შოთა ჩოჩიშვილი, ოლიმპიადის ახალი ჩემპიონი?"

სპორტის ამ სახეობის ყველაზე დიდი მცოდნე იაპონელებიც კი, რომელთაც მსოფლიოს ყველა ძიუდოისტის დოსიე აქვთ, იძულებული იყვნენ საბჭოთა ჟურნალისტებისთვის მიემართათ...

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტის, 22 წლის ჩოჩიშვილის გზა საპატიო კვარცხლბეკისკენ წარმატებებისგან და... მარცხისგან შედგებოდა. ჯერ მან, როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, იაპონელ პოლიციელს ფ. სასახარას სძლია, მაგრამ უმალვე წააგო ინგლისელ დ. სტარბრუკთან. ახლა მხოლოდ სანუგეშო ტურნირის იმედიღა რჩებოდა და ჩოჩიშვილმა იგი „წმინდად" განვლო: ნახევარფინალში შეჯიბრების მასპინძელი პ. ბარტი დაამარცხა, ფინალში კი კვლავ სტარბრუკს შეხვდა და ამჯერად გაიმარჯვა.

ოლიმპიადაზე ჩოჩიშვილი შემთხვევით მოხვდა. ქვემძიმე წონითს კატეგორიაში საბჭოთა გუნდის ლიდერი ე. სოლოდუხინი იყო. ახლახან მან ბრმა ნაწლავის ოპერაცია გადაიტანა და ამიტომ მწვრთნელებმა მიუნჰენში წაიყვანეს ჩოჩიშვილი, თუმცა მას საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება არ ჰქონდა. და აი, უცნობმა სპორტსმენმა სასიამოვნო სიურპრიზი მოგვიტანა, ურომლისოდაც ოლიმპიადა ოლიმპიადა არ იქნებოდა.

საბჭოთა წყალბურთელების შეხვედრა ოლიმპიურ ჩემპიონებთან — იუგოსლავიის სპორტსმენებთან ამ დღეს ცენტრალური მატჩი იყო ფინალურ ჯგუფში. უაღრესად მძაფრი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა — 5:4 (2:1, 2:0, 0:2, 1:1).

პირველ პერიოდში საბჭოთა მოთამაშეების შეტევა გოლით დასრულდა (ბარკალოვი). იუგოსლავიელი წყალბურთელები პირდაპირ „ახრჩობდნენ" მეტოქეებს და მსაჯმა დანიშნა 4-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად გამოიყენა იმავე ბარკალოვმა. შესვენების შემდეგ მან მესამე გოლი გაიტანა, მაგრამ მალე დაშავდა და აუზი დატოვა. მეორე პერიოდის მიწურულს დრევალმა გაზარდა ანგარიში — 4:1. შემდეგ მანვე მეხუთე გოლი გაიტანა.

გფრ-ის ნაკრებთან მატჩის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებს პასუხსაგები შეხვედრა ელით აშშ-ს გუნდთან, რომელმაც წინასწარ ტურნირში იუგოსლავიის ნაკრები დაამარცხა — 5:3 (ეს შედეგი ფინალურ ჩათვლაში შევიდა). 4 სექტემბერს გაიმართება მატჩი სსრ კავშირი — უნგრეთი.

საბჭოთა კალათბურთელებმა თავიანთ აქტივში მეხუთე გამარჯვება ჩაიწერეს, ამჯერად პუერტო-რიკოს ტექნიკურ და ტემპერამენტულ გუნდს აჯობეს — 100:87 (48:37). პუერტორიკოელები, რომლებმაც სპეციალისტები გააკვირვეს თავიანთი გამარჯვებით იუგოსლავიის გუნდთან, სწრაფად და საინტერესოდ თამაშობდნენ შეტევაში. მაგრამ საბჭოთა ნაკრებთან მატჩში თავიანთი გეგმის განხორციელება ვერ მოახერხეს, ალბათ იმიტომაც, რომ არ გააჩნდათ მაღალი თავდამსხმელების „გრძელი სკამი" (2 მეტრზე მაღალი მხოლოდ ორი კაცი ჰყავთ). ისიც უნდა ითქვას, რომ პირველ ტაიმში მათ ერთხელ გაათანაბრეს ანგარიში, შესვენების შემდეგ კი ერთ მომენტში სხვაობა 4 ქულამდეც კი შეამცირეს....

საბჭოთა გუნდში საუკეთესო იყო ა. ბელოვი — დაცვაშიც და თავდასხმაშიც.

საბჭოთა ხელბურთელებმა ოლიმპიური ტურნირის მეორე მატჩი ჩაატარეს და ისევ ფრეს დასჯერდნენ, ამჯერად შვეციის გუნდთან — 11:11 (3:4). ამ ქვეჯგუფში დაწინაურდნენ პოლონელები, რომლებმაც დღეს დანიის ხელბურთელები დაამარცხეს — 11:8 (6:4).

გვიან ღამით ოლიმპიადაში თავისი მეორე ორთაბრძოლა მოიგო საბჭოთა მოკრივემ ა. ხოხლოვმა. მან ქულებით დაამარცხა ირლანდიელი ჯ. როჯერსი.

რაპირისტების გუნდური ტურნირის მეოთხედფინალში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა გფრ-ის გუნდი — 9:6.

ოლიმპიურ აუზში ავსტრალიელმა შ. გოულდმა დაიკავა საპატიო კვარცხლბეკის მისთვის უკვე ჩვეული უმაღლესი საფეხური მას შემდეგ, რაც თავისუფალი სტილით ცურვაში 200-მეტრიანი დისტანციის ფინიშთან მსოფლიო რეკორდით მივიდა.

100 მეტრზე ქალთა შორის გულაღმა ცურვის ნახევარფინალში უნგრელმა ა. დიარმატიმ ევროპის რეკორდი დაამყარა — 1.06,4.

ველოტრეკზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა მოიგო ნორვეგიელმა კ. კნუდსენმა. საბჭოთა სპორტსმენები ამ სახეობაში არ გამოდიოდნენ.

საცხენოსნო სამჭიდში საბჭოთა სპორტსმენებმა ცუდად იასპარეზეს. მათგან საუკეთესომ — ს. მუხინმა XII ადგილი დაიკავა, ვ. გორელკინი XIX ადგილზეა, ვ. ლანუგინი — XXIX. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა კოლექტივი VII ადგილზე აღმოჩნდა.

ერთი კვირის განმავლობაში ოლიმპიურ შეჯიბრებებს 1.300.000 მაყურებელი დაესწრო.

**გ. გუხოვცევი, ა. სტაროდუბი, ი. ხრომოვი, ვ. კუკუშკინი, ა. ლევინსონი, ი. მასლოვი.**

(საკდესის სპეც. კორ.).



სურათზე: საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მჩატე წონის უნგრელი ძალოსანი ი. ფიოლდი, აქვე არიან ირანელი მ. ნასირი (მარცხნივ) და საბჭოთა ათლეტი გ. ჩეტინი.

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

## ჩემპიონები



სურათებზე: ოლიმპიური ჩემპიონები (ზევიდან) — ვ. სიდიაკი (სსრ კავშირი. ფარიკაობა. ხმალი) და ა. ბალცო (უნგრეთი. თანამედროვე ხუთჭიდი).

## დღეს

**კალათბურთი** (წინასწარი მატჩები).

**კრივი** (წინასწარი შეჯიბრება. მეორე წრე).

**ძიუდო** (ქვესაშუალო წონა. ფინალი)*.

**ველოსპორტი** (ტანდემი — წინასწარი სერიები. გამოდევნებით გუნდური რბოლა — ნახევარფინალი).

**ფრენბურთი** (წინასწარი მატჩები. ქალები — ნახევარფინალური მატჩები).

**საცხენოსნო სპორტი** (წინაღობათა გადალახვა. პირადი შეჯიბრება)*.

**მძლეოსნობა** (წინასწარი შეჯიბრება, ხუთჭიდი. ქალები. მეორე დღე. ფინალები: 10000 მ რბენა, 50 კმ სპორტული სიარული, შუბის ტყორცნა — ვაჟები, 800 მ რბენა — ქალები)*.

**ცურვა** (წინასწარი გაცურვები. ფინალები: 800 მ თავისუფალი სტილით, 4×100 მ კომბინირებული ესტაფეტა — ქალები. 100 მ თავისუფალი სტილით, 200 მ კომპლექსური ცურვა — ვაჟები)*.

**წყალში ხტომა** (წინასწარი შეჯიბრება. კოშკი. ვაჟები).

**წყალბურთი** (ფინალური მატჩები).

**ხელბურთი** (წინასწარი მატჩები).

**ძალოსნობა** (ქვემძიმე წონა)*.

**ფარიკაობა** (ვაჟების გუნდური შეჯიბრება. ხმალი. წინასწარი; ქალების პირადი შეჯიბრება. რაპირა. ფინალი)*.

**ფეხბურთი** (ნახევარფინალური მატჩები).

**ბალახის ჰოკეი** (წინასწარი მატჩები).

გათამაშდება 18 ოქროს მედალი (იხ. ვარსკვლავით აღნიშნული სახეობები).

# ოლიმპიური მოზაიკა

13 თვეს მოგზაურობდა ევროპის გზებზე ორცხენიანი დახურული ფორნით 39 წლის ბრემენელი ჰორსტ კლიუკმანი. მისი მოგზაურობის მიზანი იყო მიუნჰენის ოლიმპიადა. იგი ჩავიდა კიდეც ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში და ახლა... აღარ იცის, რა ქნას: საავტომობილო მოტორებში დამალული მილიონობით ცხენის ძალისთვის მიუნჰენში მოიძებნა ადგილი, ორი ცხენისთვის კი არა.

ყველაზე მცირერიცხოვანი დელეგაცია ოლიმპიურ თამაშებზე ჩავიდა არა ზემო ვოლტიდან და გაბონიდან, როგორც ამას ვიუწყებოდით, არამედ ლესოტოდან — აფრიკული კონტინენტის სამხრეთში მდებარე ქვეყნიდან. ლესოტოს გუნდში ერთი სპორტსმენია.

სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებმა თავიანთი გაზეთების ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით უკვე ჯეროვნად შეაფასეს უახლესი ტექნიკა, რომელიც ოლიმპიადას ემსახურება. მაგრამ მათ შორისაც ვხვდებით კონსერვატორებს, რომლებიც ელექტრონიკას ეჭვის თვალით უყურებენ და ანტიკური ოლიმპიადების დროის „კავშირის საშუალებებს" ანიჭებენ უპირატესობას. მაგალითად, დანიელი ფოტოკორესპონდენტი ჰანს ბელკე, რომელიც კილში აფროსანთა შეჯიბრებაზეა აკრედიტებული, რედაქციაში ნეგატივებს გზავნის... საფოსტო მტრედების საშუალებით. მას მიაჩნია, რომ ეს ყველაზე სწრაფი და, რაც მთავარია, სავსებით საიმედო გზაა.

იმ რამდენიმე დღის მანძილზე, როცა ტანმოვარჯიშეები ასპარეზობდნენ, „შპორტჰალეს" დარბაზი მუდამ პირთამდე იყო სავსე. არც ჟურნალისტებისთვის შესვლის შეზღუდვამ უშველა საქმეს: ისინი ყოველგვარ ეშმაკობას მიმართავდნენ საიმისოდ, რომ დარბაზში მოხვედრილიყვნენ და ხშირად იქ ერთ სკამზე ორი კაცი იჯდა, ნაწილი კი კიბეების საფეხურებზე იყო მოკალათებული.





## ჩემპიონები

სურათებზე: ოლიმპიური ჩემპიონები — ზევით — ნ. ტაგუჩი (იაპონია. 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვა), მარჯვნივ — ს. კატო (იაპონია. აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშულ მრავალჭიდში).

მიუნჰენში ნახავთ ადამიანებს, რომლებიც ძალიან უკმაყოფილო არიან ოლიმპიადით. მათ რიცხვში შედიან ადგილობრივი ლუდხანების პატრონები. ისინი ვარაუდობდნენ, რომ „ოლიმპიური წყურვილი" გაცილებით მეტ შემოსავალს მოუტანდა, ვიდრე ეს სინამდვილეშია. ცნობილ „ჰოფბროიჰაუზშიც" კი, მიუნჰენის „სასმელ მექაში", ათასზე მეტი ადგილი ცარიელი რჩება.

ოლიმპიურ სტუმართაგან ალბათ ყველაზე აქტიური იყო ამერიკელი გიგანტი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე კრის ტეილორი, რომელიც ალექსანდრე მედვედთან ორთაბრძოლის შემდეგ სავახშმოდ შევიდა რესტორან „ჰაკსნშტუბლ ამ პლაცლში". კრისმა რესტორნის პატრონები თავის გულშემატკივრებზე მეტად გაახარა: მან დაუკვეთა 80 ღორის სოსისი და ჩაავე კომბოსტოს უზარმაზარი მთა.

ელექტრონულმა მანქანამ გამოთვალა, რომ ჯერჯერობით ოლიმპიადის ყველაზე პოპულარული სპორტსმენია სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდის წევრი ოლგა კორბუტი.

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

## მხოლოდ ჩემპიონური მედალები...

### 1 სექტემბერი

**ცურვა. 400 მ თავისუფალი სტილით. ვაჟები.**

1. რიკ დემონი (აშშ) — 4.00,27 (ოლიმპიური რეკორდი); 2. ბრედფორდ კუპერი (ავსტრალია) — 4.00,28; 3. სტივენ გენტერი (აშშ) — 4.01,94.

**200 მ თავისუფალი სტილით. ქალები.**

1. შეინ გოულდი (ავსტრალია) — 2.03,56 (მსოფლიო რეკორდი); 2. შირლი ბაბაშოფი — 2.04,33; 3. კინა როტჰამერი (ორივე — აშშ) — 2.04,92.

**100 მ ბატერფლაით. ქალები.**

1. მაიუმი აოკი (იაპონია) — 1.03,34 (მსოფლიო რეკორდი); 2. როზვიტა ბაიერი (გდრ) — 1.03,61; 3. ანდრეა დიარმატი (უნგრეთი) — 1.03,73.

**მძლეოსნობა. 100 მეტრზე რბენა. ვაჟები.**

1. ვალერი ბორზოვი (სსრ კავშირი) — 10,14; 2. რობერტ ტეილორი (აშშ) — 10,24; 3. ლენოქს მილერი (იამაიკა) — 10,33; 4. ა. კორნელიუკი (სსრ კავშირი) — 10,36.

**შუბის ტყორცნა. ქალები.**

1. რუტ ფუქსი — 63,88 მ (ოლიმპიური რეკორდი); 2. ჟაკელინა ტოდტენი (ორივე — გდრ) — 62,64; 3. კეტი შმიდტი (აშშ) — 59,94.

**საცხენოსნო სპორტი. სამჭიდი.**

პირადი ჩათვლა. 1. რიჩარდ მიდი (დიდი ბრიტანეთი) — 57,73 ქულა; 2. ალესანდრო არჯენტონი (იტალია) — 43,33; 3. იან იონსონი (შვეცია) — 39,67.

გუნდური ჩათვლა. 1. დიდი ბრიტანეთი — 95,53 ქულა; 2. აშშ; 3. გფრ... 7. სსრ კავშირი.

**ძიუდო. ქვემძიმე წონა (93 კგ-მდე).**

1. შოთა ჩოჩიშვილი (სსრ კავშირი); 2. დავიდ სტარბრუკი (დიდი ბრიტანეთი); 3. პაულ ბარტი (გფრ) და ჩიაკი იშიი (ბრაზილია).

**ველოსპორტი. ტრეკი. 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა.**

1. კნუტ კნუდსენი (ნორვეგია) — 4.45,74; 2. კსავერ კურმანი (შვეიცარია); 3. ჰანს ლუცი (გფრ).

**ტანვარჯიში: მრავალჭიდის ცალკეული სახეობები. ვაჟები.**

თავისუფალი ვარჯიში. 1. ნიკოლოზ ანდრიანოვი (სსრ კავშირი) — 19,175 ქულა; 2. აკინორი ნაკაიამა — 19,125; 3. სიგერუ კასამაცუ (ორივე — იაპონია) — 19,025.

ტაიჭი. 1. ვიქტორ კლიმენკო (სსრ კავშირი) — 19,125; 2. სავაო კატო — 19,000; 3. ეიძო კენმოცუ (ორივე — იაპონია) — 18,950... 5. მ. ვორონინი (სსრ კავშირი) — 18,875.

რგოლები. 1. ნაკაიამა — 19,350; 2. ვორონინი — 19,275; 3. მიცუო ცუკახარა (იაპონია) — 19,225.

ბჯენით ხტომა. 1. კლაუს კოსტე (გდრ) — 18,850; 2. კლიმენკო — 18,825; 3. ანდრიანოვი — 18,800.

ორძელი. 1. კატო — 19,475; 2. კასამაცუ — 19,375; 3. კენმოცუ — 19,250; 4. კლიმენკო — 19,125... 6. ანდრიანოვი — 17,975.

ძელძი. 1. ცუკახარა — 19,725; 2. კატო — 19,525; 3. კასამაცუ — 19,455... 6. ანდრიანოვი — 19,100.

## მედლები, ადგილები, ქულები

(არაოფიციალური გუნდური ჩათვლა)

მდგომარეობა 31 აგვისტოსთვის

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | IV | V | VI | მედლები სულ | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 7 | 9 | 6 | 8 | 4 | 2 | 22 | 152 |
| 2. გდრ | 5 | 4 | 6 | 5 | 1 | 6 | 15 | 101,75 |
| 3. სსრ კავშირი | 5 | 3 | 3 | 1 | 4 | 2 | 11 | 74,75 |
| 4. გფრ | — | 3 | 3 | 1 | 7 | 2 | 6 | 46 |
| 5. პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 5 | 2 | 2 | 4 | 44 |
| 6. უნგრეთი | 1 | 2 | 4 | 1 | — | 3 | 7 | 39 |
| 7. იაპონია | 3 | 1 | 1 | 2 | 1 | — | 5 | 38 |
| 8. ავსტრალია | 3 | — | 1 | 1 | — | — | 4 | 28 |
| 9. იტალია | 1 | 2 | 1 | 2 | — | — | 4 | 27 |
| 10. შვეცია | 2 | 1 | — | — | 1 | 4 | 3 | 25 |
| 11. ბულგარეთი | 1 | 1 | — | — | 1 | — | 2 | 14 |
| 12-13. რუმინეთი | — | 1 | 1 | 1 | — | 1 | 2 | 13 |
| 12-13. საფრანგეთი | — | 1 | 2 | — | — | — | 3 | 13 |
| 14. ავსტრია | — | 1 | 1 | — | 1 | 1 | 2 | 12 |
| 15-16. კანადა | — | — | — | 3 | — | — | — | 9 |
| 15-16. კსდრ | 1 | — | — | — | — | 2 | 1 | 9 |
| 17-19. ირანი | — | 1 | — | — | 1 | — | 1 | 7 |
| 17-19. ჩეხოსლოვაკია | — | — | — | 1 | 1 | 2 | — | 7 |
| 17-19. ჰოლანდია | — | — | 1 | — | 1 | 1 | 1 | 7 |
| 20. ბრაზილია | — | — | — | 1 | — | 1 | — | 4 |
| 21-22. ეკვადორი | — | — | — | 1 | — | — | — | 3 |
| 21-22. ბელგია | — | — | — | 1 | — | — | — | 3 |
| 23-24. ნორვეგია | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 23-24. ბირმა | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 25-27. კუბა | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 25-27. იუგოსლავია | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 25-27. ინგლისი | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |

## დალოცვილი გზა

წაგება და მოგება ძმები არიანო, — ამბობს ქართული ანდაზა. გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, — ამასაც ხშირად გაიგონებთ. მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც!

ჭიდაობისთვის გაჩენილი ჭაბუკი, რა თქმა უნდა, იმთავითვე ილტვოდა გამარჯვებისკენ. მაგრამ მიზნისკენ იგი მუდამ მხოლოდ პატიოსანი, რაინდული და ვაჟკაცური ბრძოლის გზით მიდიოდა.

... როცა წლეულს ზამთარში თბილისის სპორტის სასახლეში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, დარბაზს ლევან თედიაშვილის ჭიდაობის სანახავად აწყდებოდა ხალხი. ეს ჩვეულებრივი ინტერესი როდი იყო: ეს გახლდათ აუდიტორიის შეხვედრა თავის საყვარელ მოჭიდავესთან, ნამდვილ ფალავანთან. ხომ იცით, რომ ყველა მოჭიდავე ფალავანი არ არის, თუნდაც მაღალი ტიტულები ჰქონდეს.

ლევან თედიაშვილმა სამართლიანად დაიმკვიდრა კაი ყმის, კარგი ფალავნის სახელი. ძალიან სასიხარულოა, როცა უცხოეთში საასპარეზოდ მიდის ეს ვაჟკაცი: ვიცით, გვასახელებს, გვჯერა, რომ ღირსეულად წარმოადგენს ქართული საჭიდაო სკოლის საუკეთესო ტრადიციებს.

წაგება და მოგება ძმები არიან... აკი გაიმარჯვა ჯერ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში, მერე სოფიის მსოფლიო ჩემპიონატში... და უცებ, წარუმატებლობა მინსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში. რა მოხდა მერე?. ის ხომ ნამდვილი მოჭიდავეა, მოჭიდავის გზა კი ია-ვარდით როდია მოფენილი.

მინსკში დამარცხების მიუხედავად, ეს იშვიათი სპორტული ნიჭით დაჯილდოებული მოჭიდავე მაინც შეიყვანეს სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში და მიუნჰენის გზას გაუყენეს. ასეთია დიდი სპორტსმენის ბედი.

და აი, 31 აგვისტოს მთელს სამყაროს მოედო მიუნჰენის ხალიჩაზე ქართველი ფალავნის ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი. ამ ცნობამ, ცხადია, განსაკუთრებული სიხარული საქართველოში გამოიწვია.

— ვინ არის თქვენი იდეალი ჭიდაობაში? — ჰკითხეს ერთხელ ჟურნალისტებმა თედიაშვილს.

ლევანმა უყოყმანოდ უპასუხა, გურამ საღარაძეო და ამით გამოხატა თავისი სპორტული კრედოცა და სიმპათიაც ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენლის მიმართ.

ახლა ალბათ ისიც დაგაინტერესებთ, რა შეხედულებისაა საღარაძე თავის ახალგაზრდა კოლეგაზე.

— ლევანი ჭიდაობისთვისაა დაბადებული. როცა მის შეხვედრებს ვუყურებ, ვფიქრობ, ამ ბიჭს ნაკლს ვერ მოვუძებნი-მეთქი. მომადლებული აქვს დიდი ღონე, საოცარი სისწრაფე, პლასტიკურობა. ყოველივე ეს შერწყმულია განბედაობასთან, ილეთების მდიდარ არსენალთან, გამჭრიახობასთან, გამარჯვებისკენ დაუცხრომელ ლტოლვასთან. კიდევ ერთი რამ, რაც ასევე მისაბაძია ახალგაზრდა თაობის სპორტსმენთათვის. თედიაშვილს ამპარტავნობისა და მედიდურობის ნატამალიც არა აქვს. ძალიან თავმდაბალი, მოკრძალებული კაცია.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ გურამ საღარაძესა (მარცხნივ) და ლევან თედიაშვილს, როცა ისინი ჩვენს რედაქციაში იყვნენ სტუმრად. ორი ფალავანი — ჭიდაობის ორი ქართველი ვარსკვლავი! ისინი საუბრობენ მიუნჰენის ოლიმპიადაზე, გარდასულ ბრძოლებზე, რომლებიც სპორტსმენებში მუდამ იწვევს ახლის დაუფლებისა და წინსვლის სურვილს.

ამ სურათს სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძლება მივანიჭოთ: წარსულში სახელგანთქმული ფალავანი თავის უმცროს მეგობარს თითქოს გზას ულოცავს მიუნჰენის ოლიმპიადისკენ. ჩვენდა სასიხარულოდ დღეს პირველ საშუალო წონაშიც გვყავს ოლიმპიური ჩემპიონი!

ა. გოგელია.

ბ. ქვათაძის ფოტო.



## ბრინჯაოს პრიზიორი



გ. ონაშვილი,
(ძიუდო, მძიმე წონა)

## გუშინ...

— აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატთა ფინალური ასპარეზობის დღე იყო.

წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ საბჭოთა სპორტსმენები ალექსანდრე ტიმოშინინი და გენადი კორშიკოვი. გამარჯვებული ეკიპაჟის დროა 7.01,77.

II ადგილზე გავიდნენ ნორვეგიელები ფრანკ ჰენსენი და სვეინ ტოგერსენი (7.02,58), III — გდრ-ის წარმომადგენლები იოაჰიმ ბემერი და ჰანს-ულრიჰ შმიდი (7.05,55).

ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ხიმკელმა (მოსკოვის ოლქი) იური მალიშევმაც: მან ოქროს მედალი მოიხვეჭა ერთადგილიანებით შეჯიბრებაში — 7.10,12. ამ 25 წლის ნიჩბოსანმა თვით მსოფლიო ჩემპიონი, არგენტინელი ა. დემიდიც იმედგაცრუებული დატოვა (II ადგილი — 7.11,53). III ადგილზეა ვოლფგანგ გველდენ-პფენინგი (გდრ) — 7.14,45.

საუცხოოდ იასპარეზეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნიჩბოსნებმაც, მათ მოიგეს როგორც უმესაჭო, ისე მესაჭიანი ორადგილიანებით შეჯიბრება.

აი, როგორ განაწილდა საპრიზო სამეული ამ სახეობებში:

**უმესაჭო ორადგილიანი.**

1. გდრ (ბრიცკე, მაგერი) — 6.53,6; 2. შვეიცარია (ბახმანი, ფიშერი) — 6.57,06; 3. ჰოლანდია (ლეინერბურგი, სტოკვისი) — 6.58,70.

**მესაჭიანი ორადგილიანი.**

1. ვოლფგანგ გუნკელი და იორგ ლიუკე (გდრ) — 7.17.25; 2. ოლდრჟიხ სვოიანოვსკი და პაველ სვოიანოვსკი (ჩეხოსლოვაკია) — 7.19,57; 3. სტეფან ტუდორი და პიატრე ჩეპურა (რუმინეთი) — 7.21.36. V ადგილზეა საბჭოთა ეკიპაჟი (ვ. ეშინოვი და ნ. ივანოვი) — 7.22,44.

მესაჭიანი ოთხადგილიანი ნავებით ასპარეზობაში საპრიზო სამეული ასეთია:

1. გფრ (ბერგერი, ფაერბერი, აუერი, ბირლი) — 6.31,85; 2. გდრ (ზანდერი, გუსტი, მარტენსი, იობსტი) — 6.33,30; 3. ჩეხოსლოვაკია (მარეჩეკი, ნეფე, იანოში, პროვაზნიკი) — 6.35,64.

საბჭოთა ნავმა (სტერლიკი, სოლოვიოვი, ლიუბატუროვი, შამაევი) IV ადგილი დაიკავა — 6.37,71.



საბჭოთა ფრენბურთელ ქალთა ნაკრებ გუნდში კვლავინდებურად გამოირჩევა ბაქოელი ინა რისკალი, რომელიც სამართლიანად ითვლება იერიშის დამაგვირგვინებელი ფაზის უბადლო ოსტატად. ამ სურათზეც რისკალი შეტევის დროსაა აღბეჭდილი.

საკდესის ტელეფოტო.

# რობერტ ფიშერი — მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონი

გუშინწინ რეიკიავიკში დამთავრდა სპასკი — ფიშერის მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. ტა-იმარჯვა რ. ფიშერმა (12,5:8,5, 7 მოგება, 3 წაგება, 11 ყაიმი) და ჭა-დრაკის სამყაროს მეთერთმეტე (სტეი-ნიცი, ლასკერი, კაპაბლანკა, ალიოხი-ნი, ეივე, ბოტვინიკი, სმისლოვი, ტა-ლი, პეტროსიანი, სპასკი) ჩემპიონად მოევლინა.

ჩვენს დროში ძალიან ძნელია ჭად-რაკის მეფის ტახტზე ასვლა: საკმაოდ ბევრია დიდი მოჭადრაკე, რომელთა პრეტენზიები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე საფუძველს მოკლებული როდია. ამიტომაა მრავალსაფეხურიანი ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ამერიკელ-მა დიდოსტატმა ფიშერმა ყველა დაბ-რკოლება წარმატებით დაძლია, რაც მის საბოლოო გამარჯვებას შთამბეჭ-დაობას მატებს.

ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის (1969-1972 წლების ციკლი) ფიშე-რმა საზონათშორისო ტურნირიდან (მალიორკა, 1970 წ.) დაიწყო. აქ მან 1 ადგილი დაიკავა (18,5 ქულა 23-დან) და 3,5 ქულით გაუსწრო II-IV ადგილებზე გასულთ ე. გელერს, ბ. ლარსენსა და რ. ჰიუბნერს. მერე მეოთხედფინალურ მატჩში სძლია მ. ტაიმანოვს (6:0) და ნახევარფინალურ მატჩში — ბ. ლარსენს (6:0). ბო-ლოს, პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში დაამარცხა ტ. პეტროსიანი — 6,5:2,5.

ფიშერმა მსოფლიო ჩემპიონთან ორთაბრძოლაშიც დაადასტურა თავისი წარმატებების კანონზომიერება. მსოფ-ლიო ჩემპიონის სახელის მოპოვების გზაზე (მალიორკის ტურნირიდან) ფიშერმა 33 პარტია მოიგო, 3 წააგო და 18 ყაიმით დაამთავრა (მხედვე-ლობაში არ არის მიღებული მოგება, რაც მას მალიორკაში თამაშზე ო. პანოს გამოუცხადებლობის გამო ჩაეთ-ვალა და სპასკისთან მატჩის მეორე პარტიაში წაგება თამაშზე გამოუცხა-დებლობის მიზეზით).

ამ ბრძოლებში ფიშერმა საოცარი ნიჭი, დიდი ცოდნა, მეხსიერება და ერუდიცია, მებრძოლის თვისებები და მიზანდასახულობა გამოავლინა. მან თავის ოცნებას ფრთები შეასხა.

ფიშერი 29 წლისაა. მის წინაშე დი-დი საჭადრაკო სარბიელია გადაშლი-ლი. თავისი შემოქმედებითი მოღვაწეო-ბით მას შეუძლია დიდი ამაგი დას-დოს საყვარელ ხელოვნებას.

ფიშერს ჩემპიონის ტიტულის დაც-ვა მხოლოდ 1975 წელს მოუწევს. თუ ვინ ეყოლება მეტოქედ, ძნელი სათქ-მელია. გაისად გაიმართება ორი სა-ზონათშორისო ტურნირი. ამ ტურნირე-ბში პირველ სამ ადგილზე გასულნი, აგრეთვე, სპასკი და პეტროსიანი 1974 წელს გაითამაშებენ მატჩების სერიას — მეოთხედფინალებს (აქ თა-მაში სამ მოგებამდე გაგრძელდება), ნახევარფინალებს (ოთხ მოგებამდე) და ფინალს (ხუთ მოგებამდე). შესარჩევ მატჩებში გამარჯვებული მოჭადრაკე 1975 წელს მატჩში ფიშერს შეხვდება. აქ კი თამაში ექვს მოგებამდე გაგ-რძელდება (24 პარტიის თამაშის წე-სი ფიდე-მ შარშან გააუქმა).

რას მოუტანს ჭადრაკს ფიშერის „მეფობა"? რა გზით განვითარდება საჭადრაკო აზროვნება? ითამაშებს თუ არა ფიშერი დიდ ტურნირებში ისე, როგორც თავის დროზე თამაშობდნენ მსოფლიო ჩემპიონები? აი, რა აღელ-ვებს ახლა ჭადრაკისა და მისი ქომა-გების ტრფიალთ.

თ. გიორგაძე.

* * *



სურათზე: რობერტ ფიშერი.

# ნახევარზე მეტმა

ენგურჰესის მშენებლობაზე ფა-რთოდ არის გაშლილი მასობრივ-სპორტული მუშაობა. მშენებლო-ბის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო დიდ მუშაობას ეწევა სექ-ციებში ახალგაზრდობის ჩაბმისთ-ვის.

სამშენებლო სამმართველოებში შექმნილი და ნაყოფიერად მუშა-ობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგ-ბურთის, ჭადრაკის, შაშის, ძალოს-ნობის, ცურვის, ველოსპორტის, ტყვიის სროლისა და სხვა სექციე-ბი, რომლებშიც ახობით ახალგაზრ-და მშენებელია გაერთიანებული. ახალგაზრდებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, რომ თავისუფალ დროს ფიზიკურად გამოიწრთონ და ოს-ტატობაც სრულყონ. მათს განკარ-გულებაშია ფეხბურთის, ფრენბურ-თის, კალათბურთის კეთილმოწყო-ბილი მოედნები, საცურაო აუზე-ბი, კლუბები. მშენებლების VII სპარტაკიადაში 1300-ზე მეტი ქა-ლიშვილი და ჭაბუკი მონაწილეო-ბდა.

ამას წინათ საბერიოს სპორტულ ბაზებზე გაიხსნა მშენებელთა VIII ტრადიციული საზაფხულო სპარ-ტაკიადა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. სპარტაკიადის პროგრამაში 14 სა-ხეობა შედის. სარბიელზე გამოვა 18 სამმართველოს 2500 სპორტსმე-ნი.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნამ-დე მოეწყო „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება 100 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში. ორასი მონა-წილიდან სანორმატივო მოთხოვნე-ბი ნახევარზე მეტმა ჩააბარა.

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.




# სულ უფრო მასობრივად

ბოლნისის რაიონის ცენტრა-ლურ სტადიონზე ყოველდღიურად შეხვდებით მევენახეებს, მინდვრის მუშაკებს, მეცხოველეებს, გეოლო-გებს, მშენებლებს, პედაგოგებს, ექიმებს... ისინი ძალასცდიან ახლო და გრძელ მანძილებზე რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ხელყუმბარის ტყორცნა-ში, ბირთვის კვრაში, ღერძზე აზი-დვაში...

უნდა აღინიშნოს, რომ დღეის-თვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწე-სებულებათა ბევრ წარმომადგე-ნელს უკვე წარმატებით აქვს ჩაბა-რებული მშდ-ს ნორმატივები.

ოქროს მედლები დაიმსახურეს გ. არუთანოვმა, ტ. მაკიევმა, ნ. ლომ-სიანიძემ და სხვ. კარგი ფიზიკუ-რი მომზადება გამოავლინეს გ. მჭედლიძემ, ვ. კარადავიდოვმა, რ. წურწუმიამ, დ. გაბიძაშვილმა...

ნორმატივების ჩაბარება გრძელ-დება.

ა. გიგინეიშვილი,
ბოლნისის რაიონის ფიზკულ-ტურისა და სპორტის კომიტე-ტის თავმჯდომარე.

# უეფა-ს ტურნირის განრიგი

როგორც ცნობილია, უეფა-ს ტურნირის პირველი წრის მატჩები დანიშნულია 13 და 27 სექტემბრისთვის.

აი, მომდევნო კალენდარიც: მეორე წრის მატჩები გაიმართება 25 ოქტომბერს და 3 ნოემბერს, მესამე წრისა — 29 ნოემბერს და 13 დეკემბერს.

მესამე წრის შემდეგ უეფა-ს ტურნირში სულ 8 მონაწილე დარ-ჩება და ტურნირი მხოლოდ მარტ-ში განახლდება.

მეოთხედფინალური შეხვედრები დანიშნულია 7 და 21 მარტს. ნახევარფინალები — 11 და 25 აპ-რილს, ფინალი — 9 მაისს.

# ოსტატთა ცვლა

ქუთაისში, „განთიადის" საცუ-რაო აუზში დამთავრდა ეჭ-ილლეს ლიგის წყალბურ-თელთა გუნდებთან არსებული ჭა-ბუკთა კოლექტივების საკავშირო პირველობა. ტურნირში მონაწი-ლეობდნენ მოსკოვის „შრომითი რეზერვები", „იუნოსტი" და „ტო-რპედო", ლენინგრადის „ბალტი-კა", „ტრუდი" და „სპარტაკი", ტაშკენტის „მეხნატი", მინსკის „ბურევესტნიკი", ასტრახანის „სპა-რტაკი", ტალინის „კალევი" და სხვ.

მონაწილენი სამ ქვეჯგუფად იყ-ვნენ დაყოფილი. ქვეჯგუფებში I და II ადგილებზე გასულთაგან შეიქმნა ფინალური ჯგუფი, სადაც უძლიერესის ტიტული გათამაშდა.

ასპარეზობა დაუმარცხებლად ჩაატარა და 8 ქულით I ადგილი დაისაკუთრა „შრომითი რეზერვე-ბის" კოლექტივმა. ქვეჯგუფში გამარჯვებების შემდეგ მოსკოვე-ლებმა ფინალურ ტურნირში და-ამარცხეს მინსკის „ბურევესტნი-კი" (7:5), ტაშკენტის „მეხნატი" (8:7), ასტრახანის „სპარტაკი" (6:4), ორი შეხვედრა კი ფრედ დაამთავრეს.

6 ქულით II ადგილზე გავიდნენ ასტრახანის სპარტაკელები. III ადგილი „მეხნატს" ხვდა.

ლ. ფაჩუაშვილი.

ქუთაისი.

* * *

სურათზე: „შრომითი რეზე-რვებისა" და „იუნოსტის" წყალ-ბურთელთა შეხვედრის მომენტი.
ავტორის ფოტო.



# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## საკონტინენტთაშორისო თასზე

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგად ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი — ამსტერდამის „აიაქსი" და სამხ-რეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიო-ნთა თასის გათამაშებაში გამარჯ-ვებული — არგენტინის „ინდეპენ-დიენტე" (ლა-პლატა) შეთანხმდნენ საკონტინენტთაშორისო თასზე შეხ-ვედრების თარიღების შესახებ.

მატჩები დაინიშნა 13 და 27 სექტემბერს. პირველი თამაში ამ-სტერდამში შედგება.

● ●

## 3 ოქტომბერს — ბაზელში

3 ოქტომბერს ბაზელში უნდა მოეწყოს მეტად საინტერესო ამხანაგური მატჩი ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ნაკრებ გუნდებს შორის. ევროპის ნაკრებში ითამა-შებენ ნეცერი (გფრ), ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია), კორსო, ფაკეტი (ორივე — იტალია), ვე-ლასკესი, ამანსიო (ორივე — ეს-პანეთი), მარიჩი, ჯაიჩი (ორივე — იუგოსლავია), ბენე, ალბერტი (ორივე — უნგრეთი) და სხვ.

სამხრეთ ამერიკის გუნდში ნავა-რაუდევია ბევრი გამოჩენილი ოს-ტატის გამოსვლა.

## ჩემპიონია „ფლუმინენსე"

101 ათასი მაყურებელი დაეს-წრო რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას" სტადიონზე ბრაზი-ლიის ჩემპიონატის მნიშვნელოვან მატჩს „ფლუმინენსესა" და „ფლა-მენგოს" შორის. გაიმარჯვა „ფლუ-მინენსემ" — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა ქაიომ.

ამრიგად, „ფლუმინენსემ" 10 ქულა დააგროვა და მიუღწე-ველი აღმოჩნდა მეტოქეთათ-ვის. „ვასკო და გამას" 9 ქუ-ლა აქვს. 8-8 ქულა მოაგროვეს „ფლამენგომ" და „სან-კრისტოვა-ომ".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**7 სექტემბერს განახლდება თბილისის საფეხბურთო ჩემპიონატი.**

ამასთან დაკავშირებით, მსა-ჯები, რომლებიც ემსახუ-რებიან გათამაშებას, 4 სე-ქტემბერს 19 საათზე უნდა გამოცხადდნენ თბილისის ფიზ-კულტურისა და სპორტის კო-მიტეტში (კონსტიტუციის ქ. № 6). გუნდების წარმომადგენ-ლები იქვე უნდა გამოცხადდნენ 6 სექტემბერს 18 საათზე.